პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 20 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 528 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

შეუდგეთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

წერა-კითხვის უცოდინარობა დიდი მტერია მშრომელი ხალხის.

წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხი ან მუშა მოწყვეტილია ყოველგვარ კულტურულ და იდეურ საზრდოს; ის გაყინულია ერთ წერტილზე და გახლართულია მამაპაპური ზნე ჩვეულებისად ცრუმორწმუნოების წუმპეში. თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია თავის ბატონობის შესანარჩუნებლად ყოველივე საშუალებას მიმართავდენ მშრომელი მასების გონების დასახშუნგავად. სკოლების მაგიერ მეფის მთავრობა ხსნიდა სხვა და სხვა „კაზინოკებს“ ანუ სამიკიტნოებს; განათლების მაგიერ ის ხელს უწყობდა ლოთობის გავრცელებას.

ზედმეტია ლაპარაკი მეფის ყაზარმის „განათლებაზე“. მაშინდელი ყაზარმებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო გაკვეთილის მაგიერ—მათრახებით ცემის და ლანძღვა გინების „გაკვეთილები“ სწარმოებდა.

მეფე და ბურჟუაზია სცდილობდა არ მიეცა ხალხისათვის სწავლა განათლება, რადგან არაფრის მცოდნე, ღვთის მორწმუნე, უვიცი მუშის და გლეხის გაყვლეფა უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე გათვითცნობიერებულ მშრომელისა. ასე იყო წინედ, მაგრამ ასე არ უნდა იყოს დღეს და არც მომავალშიც. მუშებმა და გლეხებმა დაამსხვრიეს მეფის და ბურჟუაზიის ბატონობა და შექმნეს თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფო. ჩვენ მოვსპეთ მჩაგვრელების ბატონობა, მათი ძალაუფლება, მაგრამ მათი ბატონობის ნაშთი: წერა-კითხვის უცოდინარობა დაგვრჩა. ეს დიდი უბედურებაა ჩვენი.

საბჭოთა სახელმწიფოში ყველა მუშა და გლეხი აქტიური მომუშავე უნდა იყოს საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებში. უვიცია გაუნათლებელი მშრომელი კი ამას ვერ შესძლებს.

ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წერა-კითხვის უცოდინარობას.

განზრახულია 10 წლის განმავლობაში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს საბჭოთა კავშირში.

წითელი ყაზარმაც სასტიკი მტერია უვიცობის და უკულტურობის. ის ზრდის შეგნებულ, გათვითცნობიერებულ რევოლიუციონერ—მეომარს.

წითელ-ჯარში ადგილი არ უნდა ქონდეს წერა-კითხვის უცოდინარობას. თითეული წერა-კითხვის არ მცოდნე მუშა ან გლეხი, რომელიც მოდის ჩვენს რიგებში ვალდებულია უპირველეს ყოვლისა მოიცილოს თავიდან ეს ნაკლი.

ჩვენს გაზეთში იყო ცნობა, რომ პირველ ლეგიონმა უკვე დაიწყო ამ მხრივ მუშაობა და რომ ახალი წითელ-არმიელები დიდის ხალისით ეტანებიან სწავლას.

საჭიროა ამ თავითვე შეუდგენ ამ საქმეს დანარჩენი ნაწილებიც.

რაც ადრე მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას ჩვენს რიგებში, ძით უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი პოლიტ-საგანმანათლებლო და სამხედრო მუშაობა ახალ მოსულებს შორის.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა აირჩია დელეგაცია მე-5-ე კონგრესისთვის.

დელეგაციაში შედის 29 კაცი. დელეგაციის ბიუროში არჩეული არიან: კომინტერნის აღმასკომიდან შილლერი და ბეჟოვიჩი, რუსეთის ახალგაზრდა კომკავშირელთა სახელით—თარხანოვი და თითო წარმომადგენელი გერმანიისა და საფრანგეთის კომკავშირიდან.

კარლ მარქსის ძეგლის ესკიზი.

ალეშინმა დაასრულა კარლ მარქსის ძეგლის ესკიზი, რომელიც უნდა დაიდგას თეატრალურ მოედანზე მოსკოვში.

ესკიზი მოიწონა ძეგლთა მომწყობ კომიტეტმა.

საფრანგეთის ახალი მთავრობა

დუმერგის განცხადება.

პალატებისადმი მიმართვაში დუმერგმა განაცხადა, რომ ის იქნება პარტიებს მაღლა მდგომი, მიუდგომელი მოსამართლე.

დუმერგი აღნიშნავს, რომ ომის მიერ გამოწვეული რღვევა შეიძლება სრულ მშვიდობიან პირობებში. საფრანგეთს არ აქვს აგრესიული მიზნები, მხოლოდ მოითხოვს გარანტიებს სარეპარაციო გადასახადებში.

საფრანგეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია დაწკრილებით.

პუანკარესეული მოტივები.

ახალი მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია: „ჩვენ გვაქვს უფლება რეპარაციაზე, რომელიც უნდა მივიღოთ საერთაშორისო სამართლიანობის გზით. გერმანია შევა ერთა ლიგაში როცა ის მოაგვარებს სარეპარაციო გადახდის საქმეს.

დღევანდელ პირობებში საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის მიმართ აუცილებელია. საფრანგეთს არ აქვს გერმანიის სიძულვილი, მაგრამ თუ უკანასკნელი უარს განაცხადებს ხელშეკრულების ასრულებაზე და შეეცდება მონარქიის აღდგენას მაშინ ჩვენ არ გამოვიჩენთ სისუსტეს მათ მიმართ.

სსრკ-ს ცნობა აუცილებელია.

საბჭოთა კავშირის შესახებ დეკლარაციაში ნათქვამია:

„უბედური შემთხვევები და აზრთა სხვადასხვაობა გვაშორებდა ჩვენ საბჭოთა მთავრობისაგან, მაგრამ ჩვენ არ დაგვიწყებია ის, რომ რუსეთის ერი სისხლს ღვრიდა საერთაშორისო ბრძოლის ველზე. დღეს ჩვენ ვემზადებით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღსადგენად. მაგრამ ჩვენ წინასწარ უნდა მივიღოთ სიფრთხილის ზომები. შევკრებოდ ცნობები რაიც უკვე დავიწყეთ“.

ფაშიზმის მსხვერპლი

მატეოტის მკვლელობის შესახებ.

იტალიის პარლამენტის წევრის, მატეოტის მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთის მემარცხენე პრესაში.

საფრანგეთის კომპარტიამ, რომელიც სავსებით თავს ახვევს ამ ბოროტმოქმედებას ფაშისტების ბელადებს განსაკუთრებით მუსოლინს, მოუწოდებს მუშებს გაერთიანდენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მატეოტის გვამი ვერ იპოვნეს.

მოკლულ დეპუტატ მატეოტის გვამი დღემდის ვერ აღმოაჩინეს.

ამხ. ზინოვიევი.

კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნა

ამხ. ზინოვიევის სიტყვა კომინტერნის კონგრესის გახსნის დღეს.

კომინტერნი შექმნილია ლენინის მიერ.

ამხ. ზინოვიევი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ კომინტერნის მე-5-ე კონგრესმა უნდა გამოიმუშაოს კომინტერნის პროგრამა. არის ორი სახელი, რომლებშიაც დიდის სისრულით სახიერდება კომინტერნის პროგრამა: ეს სახელებია მარქსი და ლენინი.

უეჭველად კომინტერნი წავა ამ ორი მასწავლებლის ნაჩვენები გზით. ლენინმა გულში შთაუნერგა რუსეთის მუშებს, მუშათა კლასის სამსახური. ეს უდიდესი საქმეა. ლენინი თავის დიად მუშაობაში ზრუნავდა იმაზე, რათა მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილიყო ისეთი ცენტრი, სადაც ყველა ქვეყნების რევოლიუციონერები მიმართავდენ რჩევა-დარიგებისათვის. ეს ცენტრი არის ლენინის მიერ შექმნილი კომინტერნი.

ვერ შეაშინებთ კომკავშირელებს.

ამხ. ზინოვიევი ესალმება კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლ-მუშებს, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიულ ციხეებში, და შემდეგ გადადის ახალგაზრდა კომკავშირელთა მდგომარეობაზე ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ის ეხება ახალგ. კომკავშირელ ენგელსის დახრეტის საქმეს და ამბობს: „ნუ თუ პოლონეთის ბრმა ბურჟუაზიამ არ იცის კომკავშირელის შეშინება არ შეიძლება ასეთი გზით, როგორც არ შეიძლება ამომავალი მზის შეშინება მუქარით?“

თუ სხვა არა, ახალგაზრდა კომკავშირელი უსათუოდ გახდება ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავე.

ჩვენი მიღწევები ხუთი წლის განმავლობაში.

ხუთი წლის თავზე ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლიუციონური მოძრაობა ისე ჩქარა ვერ განვითარდა, როგორც ჩვენ მოველოდით.

კომინტერნის არსებობის 5 წლის განმავლობაში ჩვენ დავინგრიეთ მხოლოდ ექვსიოდე მონარქიული ტახტი და დავიპყარით მხოლოდ დედამიწის ერთი მეექვსედი. ჩვენ კიდევ უნდა დავიპყრათ დედამიწის ხუთი მეექვსედი. ჩვენ ყოველ ქვეყანაში შედარებით უფრო ძლიერი ვართ, ვინემ ერთი წლის წინად ვიყავით.

იმპერიალისტურ ომის ათი წლის თავი

„ჩვენ ვხსნით კონგრესს იმპერიალისტური ომის მე-10-ე წლის თავზე. ჩვენ გვინდა ჩავატარიოდ საერთაშორისო დემონსტრაცია 27 ივლისიდან 4 აგვისტომდი. ეს დემონსტრაცია იქნება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც, რომელიც ბურჟუაზიაზე არა ნაკლები დამნაშავეა ომის საქმეში. იმპერიალისტური ომის წლის თავზე საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა შეეკითხოს მეიდემან-ვანდერველდეს და სოციალ-დემოკრატების სხვა ბელადებს სად არიან კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი და სხვა და სხვა ქვეყნების მილიონი მუშები?

ლენინის გზით.

ბოლოს ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა კონგრესის ამოცანები და გამოსთქვა იმედი რომ ყოველი ნაბიჯი მიმართული იქნება ლენინიზმის გზით.

ამხ. რიკოვის მისასალმებელი სიტყვა

მე-4-ე და მე5-ე კონგრესს შორის.

ამხ. რიკოვი აღნიშნავს ბოლო წლის განმავლობაში კომინტერნის ბოლო წლის განმავლობაში კომინტერნის ძლიერების ზრდას. კომინტერნმა შესძლო ამ ხნის განმავლობაში მე-2-ე ინტერნაციონალის და ბურჟუაზიულ პარტიების გავლენის შესუსტება, რის შედეგია კომინტერნის რიცხობრივი ზრდა. მეორე ინტერნაციონალის ძალაუფლების ხელში აღებამ ინგლისში გაადვილა ბრძოლა მეორე ინტერნაციონალთან.

რკპ-ს ხაზის უკეთესი გადასინჯვა.

შემდეგ ამხ. რიკოვი ეხება წლინახევრის მუშაობას საბჭოთა კავშირში, აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას, ეროვნული შუღლის მოსპობას, და ლენინის სიკვდილის მიერ გამოწვეულ პარტიის რიგების გაძლიერებას მუშათა მასების პარტიაში შემოსვლით.

მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს კომუნა.

ამხ. რიკოვი შეეხო კომუნისტების საიდუმლო მუშაობას მეფის დროს და აღნიშნა, რომ ამ პარტიამ ისეთ სასტიკ რეპრესიების დროს შესძლო მაინც ძლიერი ორგანიზაციის შექმნა და მსოფლიო რეაქციის ცენტრი —მოსკოვი აქცია საერთაშორისო რევოლიუციის ცენტრად.

„ჩვენ ღრმად გვწამს—განაცხადა ამხ. რიკოვმა—რომ კომინტერნი კაპიტალისტურ ქვეყნებს გარდაქმნის ისე, როგორც რუსეთის მუშებმა გარდაქმნეს მოსკოვი.

დასასრულ კონგრესს ესალმება ამხ. ლოზოვსკი და ახალგაზრდა პიონერთა წარმომადგენლები.

მხურვალე ტაშის ქვეშ ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

კომინტერნის მე-5-ე კონგრესის მოწოდება

კონგრესის მოწოდებაში თეთრი ტერორის შესახებ ნათქვამია, რომ უამრავი მუშა იტანჯება ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში. სიკვდილით დასჯა, ღახვრეტა და სხვა ბევრი სისტიკი ზომები მოგვაგონებენ საშუალო საუკუნეების ინკვიზიციას. მეხუთე კონგრესი მხურვალე სალამს უძღვნის ციხეებში და წყვდიად მებრძოლთ. ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ წამებით, დახვრეტით, ციხეებით. გამარჯვების საათი უკვე მოახლოვებულია.

კონგრესი ესალმება წითელ არმიას, ფლოტს და ავიაციის მუშაკებს მილიონ მშრომელთა სახელით.

კონგრესის მეორე სხდომა.

კვირფას საფლავზე.

18 ივნისი 1-ს საღამოს სხდომის წინ ამხ. კოლაროვის წინადადებით კონგრესის წევრები გაემართენ წითელ მოედანზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ამხ. ლენინის საფლავზე. დელეგატებს წითელ მოედანზე შეხვდა მრავალი ათასი მუშათა რიგები წითელი დროშებით. საფლავთან მისვლის შემდეგ ამხ. კოლაროვი იქვე ხსნის კონგრესის სხდომას.

ლენინის საფლავზე—ამბობს ამხ. კოლაროვი—კონგრესი შეუდგება დღის წესრიგის პირველ მუხლს—„ლენინი და კომინტერნი“. სიტყვა ეძლევა ამხ. კალინინს.

ლენინი და კომინტერნი.

ამხ. კალინინის სიტყვა.

რუსეთის რევოლიუციის ბელადი, ბელადი იყო კომუნისტური ინტერნაციონალისა. ლენინის აღღო, რომ ლის მეოხებით ის სარგებლობდა ყოველი ნაციონალური მოძრაობით, ხდის მას მსოფლიო რევოლიუციის ბელადათ.

ქვევით ამხ. კალინინი შეეხო ლენინიზმის ძირითად საკითხებს—უპირველესად მუშათა და გლეხთა კავშირის იდეას. მან განმარტა ლენინის აზრი სოფლის ღარიბთა და ქალაქის მუშათა კავშირზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნაციონალური საკითხი.

ამხ. კალინინი შეეხო ამხ. ლენინის ანდერძს ნაციონალურ საკითხში, რომელშიაც ის მოუწოდებდა ერთა სრულუფლებიანობისა და მათ შორის ყოველგვარ ზღუდეების დარღვევისაკენ.

ბოლოს ამხ. კალინინი მოუწოდებს, რათა ჩვა თუ შენარჩუნებულ იქნას, არამედ გაძლიერებულ იქნას, ლენინიზმი, ეს საუკეთესო იარაღი განმათავისუფლებელ მოძრაობისა.

ლენინი რევოლიუციის სიმბოლოა.

გერმანელ კომუნისტის სიტყვა.

ამხ. კალინინის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ზევერინგი, რომელმაც განაცხადა, რომ ლენინის მთელი მსოფლიო რევოლიუციის სიმბოლოა.

გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ლენინის დროშის ქვეშ.

ინდოელ ამხ. როის სიტყვა.

ტრიბუნაზე გამოდის ამხ. როი. ამხ. კოლაროვი აცნობს სხდომას ინგლისის მთავრობის ბრძანების შიანარსს ამხ. როის დაპატიმრების შესახებ. გაისმის ათიათასობით მუშათა ტაში.

„ლენინი ჩვენთან არ არის, მაგრამ ჩვენთან არის ლენინელთა ფოლადისებური არმია“—ამბობს ამხ. როი „ლენინმა გახადა ინტერნაციონალი ნამდვილ ინტერნაციონალურად.

ლენინიზმის დროშის ქვეშ ჩვენ გავიმარჯვებთ, საუკუნო ხსოვნა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს“. შემდეგი სხდომა დაინიშნა 19 ივნის საღამოსათვის.

რადიო ყოველ მხრიდან

კანადის ფოსტის მოსამსახურეთა და მუშათა გაფიცვა.

კანადის მუშა მოსამსახურეებმა ფარი განაცხადა მომრიგებელ კომისიის მიერ შემუშავებულ ტარიფის მიღებაზე მოელიან გაფიცვებს.

ბულგარეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების ჩაშლა.

ჩაიშალა ოსმალეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება მეგობრულ ურთიერთობის დამყარების შესახებ, ვინაიდან ოსმალეთა არ დასთანხმდა 1923 წლის ხელშეკრულების ასრულებაზე, რომელშიაც გათვალისწინებული იყო მოსახლეობის გაცვლა.

ევროპის ფინანსიურ ექსპერტთა დახმარება ოსმალეთის.

ოსმალეთის ფინანსთა მინისტრმა მოიწვია უცხოელი ფინანსთა ექსპერტები ფინანსიურ საკითხების გარჩევაში დასახმარებლად.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის უკანასკნელი სხდომაზე ირჩეოდა ინგლისის მიერ შეტანილი საკითხი კონტროლისა და ავსტრიის, ბულგარეთის და უნგრეთის განიარაღების შესახებ.

ოპოზიციის ფინადაება.

კვირას რომში დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა იმ ალაგას სადაც მოხდა მატეოტის გატაცება ეს ადგილი ხალხმა ყვავილებით შეამკო.

მუსოლინიმა განაცხადა, რომ ის არ მიიღებს პარლამენტში ოპოზიციის წინადადებას ფაშისტურ მილიციის დაშლის საარჩევნებო კანონის შეცვლისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

პარლამენტის უმრავლესობის კომიტეტმა წინადადება მისცა მუსოლინის მთავრობას ნუ იყოლიებს საეჭვო თანამშრომლებს.

ფაშისტური ცენზურა.

იტალიაში საზოგადოებრივი აღშფოთება დღითი დღე იზრდება. ანტი-ფაშისტური დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ დააწესა სასტიკი ცენზურა. რომის გარნიზონი გაძლიერებულია.

საბჭოთა კავშირის და იაპონიის მოლაპარაკების გარშემო.

ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის მმართველ წრეებზე და მთელ საზოგადოებრივ აზრზე.

იაპონის იმპერიალიზმი ერთ ერთი დაუძინებელი მტერია საბჭოთა ფედერაციის

როდესაც თითქმის მთელი საბჭოთა ტერიტორია გაწმენდილი იყო თეთრგვარდიელებისაგან, შორეულ აღმოსავლეთში იაპონელების კურთხევით და ენერგიული დახმარებით განაგრძობდენ არსებობას სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტული კონტრ-რევოლიუციონური რაზმები, როგორც ატამან სემიონოვის და პეპელიაევის ბანდები იყო.

იაპონიის იმპერიალიზმი მხარს უჭერდა რუსეთის კონტრრევოლიუციას იმ იმედით, რომ ის ხელთ იგდებდა შორეულ აღმოსავლეთის მდიდარ ადგილებს. მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში.

საბჭოთა ხელისუფლებამ რკინის ცოცხით აღგვა ყველა თეთრგვარდიელთა ბრბოები შორეულ-აღმოსავლეთშიაც და სამუდამოთ განამტკიცა მუშებისა და გლეხების დიქტატურა იქ.

ყვითელი იმპერიალისტები სახტად დარჩენილნი, მაინც განაგრძობდენ მტრულ პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ და დღესაც არ გაუთავებიათ სებიათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მათ ძალით დაიპყრეს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში იაპონიის დამოკიდებულებაში ჩვენ მიმართ ერთგვარი გარდატება მოხდა. ეს გამოწვეულია იაპონიის დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობით.

საერთოდ უკანასკნელი წელი მეტად საუბედურო აღმოჩნდა იაპონიისათვის. ჯერ სტიქიურმა უბედურებამ, საშინელმა მიწის ძვრამ ატარებელი ზარალი მიაყენა იაპონიის ხალხს. გარდა ამისა ამერიკის ახალმა კანონმა, რომელიც ამერიკაში შესვლის უფლებას ართმევს იაპონელებს უფრო გააძწვავა მათი ეკონომიური მდგომარეობა.

ამასთანავე ერთად საბჭოთა კავშირის საბოლოო განმტკიცება, მისი ძლიერების ზრდა და ჩინეთთან შეთანხმება ეს ისეთი ფაქტებია, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს.

აქედან ცხადია, რომ იაპონიის მთავრობამ შესცვალა თავისი მოქმედების გეზი ჩვენს მიმართ და დაადგა ჩვენთან მშვიდობიანი თანამშრომლობის გზას. ამ ჟამად სწარმოებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელის კარახანის და იაპონიის შორის მოლაპარაკება.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ის ვითავდება ისეთივე შეთანხმებით, როგორც ჩინეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაული ექნება იაპონიის მთავრობას, რომელიც კიდევ ვერ განშორებია თავის მტაცებლურ გეგმებს და ანგარიშს არ უწევს იაპონიის მშრომელი ხალხის ინტერესებს.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ეს არ მოხდება, ვინაიდან თვით საგრძნობი ნაწილი იაპონიის მთავრობისა და წარჩინებულ პირთა ადგიან საბჭოთა კავშირთან შეთანხმების და ჩქარების თვალსაზრისს და თანახმა არიან სახალინიდან იაპონიის ჯარების გაყვანაზე.

დღევანდელი რადიოც გადმოგვცემს, რომ მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობს.

ვნახოთ რას იტყვიან შემდეგ დღეები.

—ე.



ახალწვეულების მოსვლა ცალკე საგაუბიცო ბატარეაში.

ახალწვეულ წითელ არმიელების მოსვლა ბატარეიაში თითქმის დამთავრდა.

დაობლებულ ყაზარმებს მოუვიდათ ახალი მეგობრები.

მუხრავანის ბუნება გამოცოცხლდა, ბატარეია ამოძრავდა, მუდმივი შემადგენლობა დაუშრეტელ ენერგიით ემზადება ახალ მოსულ წითელ არმიელების საზეიმო შეხვედრისათვის.

დღეს უკვე შაბათია.

ახალწვეულები ამჩნევენ ჯფ და პოლიტშემადგენლობის მოძრაობას. წითელი ყაზარმა, კლუბი და სამკითხველო ესალმებიან ახალგაზრდა მხედრებს.

საღამოს ჟამმაც მოაღწია, აგერ გამოჩნდნენ ახალგაზრდები, მოხუცები, ქალი და კაცი სოფლებიდან. პატარა კლუბის დარბაზი გაიჭედა ხალხით.

გაღიმებული სახეები სიხარულით უმზერენ ახალ მოსულ წითელ არმიელებს.

აგერ ცხენებ თ მოჯირითდნენ გარე კახეთის რაიონის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იხსნება ფარდა: საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს სამხკომი ამხ. ტაბუცაძე, რომელიც ესალმება ახალ წვეულთ და უხასიათებს წითელი ჯარის მნიშვნელობას.

საბჭოთა ქვეყნების ჯარი თავდაცვის მიზნებს ემსახურება.

წითელი ჯარის ამოცანებზე მოხსენებით გამოდის ამხ. ცაგარეიშვილი, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს, და სახელმწიფოში ჯარის აუცილებლობას. ჩერდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ჯარის ამოცანებზე და აშუქებს შემდეგ პროლეტარულ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და მის თავდაცვის ძალის აუცილებლობას. მოჰყავს განსხვავება დაპყრობითი და თავდაცვის დანიშნულების ჯარის შორის.

ესალმება ახალ წვეულებს გარე კახეთის რაიპარტკომის მდივანი ამხ. ფირიაშვილი, რომელიც შეეხო ოქტომბრის რევოლიუციას და წ. არმიის ღვაწლს ხელისუფლების დაცვაში. მიესალმა აგრეთვე გარე კახეთის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. სეხნიაშვილი, რომელმაც ახალგაზრდა წითელ არმიელებს უსურვა ჩაბარებულ საგუშაგოს მოვლა.

უკანასკნელი მისასალმებელი სიტყვით გამოდის ბატარეის თავი ამხ. გოგელიშვილი, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულ ჯარების საომარ საშვალებებს და ამბობს! ის სწორი და უტყუარი საშვალება რაც ჩვენ ჯარს აქვს იდეის სახით ეს ბურჟუაზიულ ჯარებს არ აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ანვითარებენ სამხედრო ხელოვნებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას გაუმარჯოს წით. ლაშქარს.

ლენინიზმის დროშით შევასრულებთ ჩვენს ამოცანებს.

იქნა შემოტანილი ახალ წვეულ წითელ არმიელებისაგან რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება წ. არმიის ამოცანებზე და სიტყვები, როგორც ცალკე საგაუბიცო ბატარეის ისე გარე კახეთის ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, ჩვენ ახალ წვეულები ვითვალისწინებთ წითელ ლაშქრის სწორ და უტყუარ ამოცანებს, რომელიც გამოიხატება არა დაპყრობაში, არამედ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დაცვაში, ჩვენ ფიცსა ვდებთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინაშე რომ ჩვენ ამ ამოცანებს შევასრულებთ ლენინის დროშის ქვეშ.

ახალკაცი.

უვადო შვებულებაში წასული წ.-არ. არ გვივიწყებენ.

14 ივნისს ცალკე საკავშირო ასეული გაემგზავრა ბანაკში. მატარებელზე, რომლითაც ჩვენ ვიმგზავრეთ ფრიალებდა ჩვენი ნაწილის წითელი დროშა.

რა სიხარულს იწვევდა ჩვენი ნაწილის ნახვა იმ წითელ არმიელებში, რომლებიც ამ რამოდენიმე-კვირის წინად გაშვებული იქნენ უვადო შვებულებაში. თითქმის ყველა სადგურებზე გვხვდებოდენ ჩვენი ყოფილი წითელი არწივები და მომღიმარი სახით გვესალმებოდენ. გვესალმებოდენ და თან გვეფიცებოდენ, რომ მათ არ ვავიწყდებით არც ერთ წუთს. „ჩვენ წითელ ყაზარმას და ლენინის კუთხეს აბა რა დაგვავიწყებსო". რამდენი კარგი რამ შევიძინეთ ჩვენ ყაზარმაში ვინ მოსთვლის, ახლა სოფლებში ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და ყველა კარგად გვეპყრობა, კიდევაც გვიჯერებენ ყველაფერს". აი ასეთი იყო ყველას პასუხი ჩვენ შეკითხვებზე.

ჩვენმა მგზავრობამ აშკარად დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მუშაობას ყოველ წითელ არმიელებში კარგი ნაყოფი გამოუღია, ამას ამტკიცებდა მათი მხიარული სახეები და ჩვენთან ასეთი კარგი დამოკიდებულება.

სამხკორი მ. ტ-ძე.

ჩვენი არმიელები ბანაკში.

(საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან).

გათენდა.

მზემ თითქო პირველ ღამე ნათევი პატარძალიაო—მორცხვათ ამოყო თავი გორაკის იქიდან და გადმოანათა არე-მარეს. ჩვენს კარავსაც დაუწყო ლიტინი თავისი ცხოველმყოფელი სხივებით.

ჩამწკრივებული ჩვენი კარვები ამშვენებენ აქაურობას.

საათის ხუთზე გაისმა აქვე მდგომ რუსის ნაწილის დუდუკის ხმა ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუუუ...

,,Ст-ав-ай Ставай"

„ა-დე-ქ-ით ადე-ქით"!

იძახის ჩვენი მორიგეც. წით. არმიელები, წამოცვივდნენ, დაიწყეს პირის ბანვა იქვე მტკვრის პირას ცივი წყაროს წყალით.

ბანაკის თავზე ამოდის კვამლი, იქ სასწრაფოთ ჩაი დუღდება.

ეძახიან წითელ ლაშქრელებს, ჩაი მზად არის და მიიღეთო.

დარეკეს ამოკითხვის, წითელ-ლაშქრელები დგებიან. კითხულობს მორიგე: ა-ძე, ვ-ძე, გ-შვილი და ამოკითხვის მორიგე მეთაური უცხადებს წითელ ლაშქრელებს:

ამხანაგებო!

ცოტა კიდევ დაგვრჩა სამუშაო გუშინ და ბარემ სჯობია ეს საქმე მოვათაოთ მერე კი სხვას შეუდგეთ. „ეგრე, ეგრე, გაისმის ლაშქრელების მხიარული ხმა და ყველანი ისე მიდიან სამუშაოზე, როგორც ერთი.

განაგრძობენ წინა დღით დადგმული კარვების გალამაზებას და მათ მოწყობას.

აგერ შუადღემ მოაწია, ასიცხდა და წით.-არმიელებმაც ჩრდილს მიაშურეს. დაუბერა საამურმა ნიავმა. გახალისდენ არმიელები.

„აბა ერთი ტაში და სიმღერაც გავაჩაღოთ". გაიმართა ცეკვა-თამაში. უკრავს გიტარა, მანდალინა და ზურნა. თამაშობენ, როგორც, ახალი ისე ძველი წითელი ლაშქრელები. ასე მხიარულათ ვმუშაობთ და ვატარებთ დროს ბანაკში.

სამხკორი: მ. ჩიტაძე.

ცალკე საგაუბიცო ბატარეიას კულტურული ცხოვრება.

ჩვენს ბატარეიაში 1901 წ. დაბადებულთა უვადო შვებულებაში გაშვებისთანავე დაიწყო ახალ სამზადისი კლუბის, ბიბლიოთეკის, წითელი კუთხეების და სკოლის მოწყობისათვის, რომ ახალწვეულების მოსვლისთანავე დაგვეწყო სათანადო მუშაობა. ყველა ზემო ჩამოთვლილი ადგილები შესანიშნავად არის მოწყობილი.

კლუბის დეკორაციები და მთელი შენობაც შეკეთდა. გამოკიდებულია საყურადღებო სურათები და ლოზუნგები. ყაზარმის წითელი კუთხეები ორიგინალურად არის მოწყობილი, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ლენინის კუთხე. შემდეგ პოლიტიკური და სამხედრო კუთხე. ბიბლიოთეკა იშვიათად გვაქვს მოწყობილი. შიგ არის მოთავსებული ლენინის კუთხე ათასგვარი პლაკატებით და მრავალი პორტრეტებით. პლაკატები და ლოზუნგები ახალწვეულთა შესახვედრი ხასიათისაა. სკოლაც თავის სიმაღლეზე სდგას, სადაც უკვე დაიწყო მეცადინეობა. ჩვენი უფროსი ამხანაგები ნაკლებად არიან დაინტერესებული, როგორც სჩანს ყველა ამით, რადგან თითქმის სრულიადაც არ ნახულობენ მათ.

საჭიროა ეს უყურადღებობა სასწრაფოდ იქნეს თავიდან აცილებული.

სამხკორი.

გავედით საბანაკოდ.

13 ივნისს პირველ-საკავშირო ასეული სრული შემადგენლობით გაემგზავრა საგარეჯოდ. მატარებელში დაბინავების დროს მოხდა ერთი სამწუხარო შემთხვევა: ერთი ახალგაზრდა წითელ არმიელი გადმოვარდა ვაგონიდან და რკინის გზის ლიანდაგზე დაეცა მკერდით. წითელ არმიელი 15 წუთის განმავლობაში გრძნობაზე არ მოსულა. ამხანაგებმა მაშინვე წაიყვანეს რკინის გზის საავადმყოფოში, სადაც ექიმების შემოწმებით მისი მდგომარეობა საშიში არ აღმოჩნდა. გახარებული წითელ-არმიელები დიდ მზრუნველობას იჩენდენ თავის ახალი მეგობრისადმი.

წითელ არმიელებს ეტყობოდა საერთო სიხარულება. იყო სიმღერათამაში.

მეორე დილით დაიძრა ჩვენი მატარებელი სადგურიდან. გაისმა წითელ არმიელთა მხიარული ყიჟინა და ძველი მხედრული სიმღერები.

14 ღამის 9 საათზე მიუახლოვდა ჩვენი მატარებელი საბანაკო ალაგს, საიდანაც გამოჩნდნენ სამაცადინოდ გამოსული რუსი წითელ არმიელები, რომლებიც მხედრული სალამით და ქუდის ქნევით შეგვხვდენ. მატარებელი გაემართა სადგურისაკენ, სადაც ჩვენი არმიელები შეუერთდნენ რუს წითელ-არმიელებს, გაიმართა ცეკვა-თამაში; გაისმა ხმა უფროსისა: „აქ მოგროვდით"! თავი მოიყარა ყველამ, და ერთად გავემართეთ ისევ ჩვენი ვაგონისაკენ დასასვენებლად. მეორე დილას ჩაის შემდეგ გაემართნენ ახალი ოჯახის ასაშენებლად, სადაც შეერთებული მუშაობით ორმოცი საათის განმავლობაში მოაწყვეს კარვები და დაბინავდნენ.

წით. არმ. სერგო მონიავა

პარტიული ცხოვრება.

საგაუბიცო ბატარეაში.

14 ივნისს შესდგა ცალკე საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედის ღია საზეიმო კრება. დაესწრენ ორი კომუნისტი, ორი კანდიდატი, ხუთი კომკავშირის წევრი და თორმეტი უპარტიო ახალ წვეულები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1—წითელი ჯარის ამოცანები. 2—პარტკორის არჩევა.

წითელი ჯარის ამოცანებზე მოხსენებით გამოდის ამხ. ცაგარეიშვილი, რომელმაც, აღნიშნა ჯარის მნიშვნელობა და ამოცანები სახელმწიფოში.

ჯერ ის შეეხო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მის ლაშქარს, შეჩერდა მას დაპყრობითი ამოცანებზე. შემდეგ გადადის პროლეტარულ, მუშურ გლეხურ სახელმწიფოზე და ახასიათებს თუ როგორ მივყავართ მას კლასთა წინააღმდეგობის მოსპობისაკენ, ე. ი. კომუნიზმისაკენ. ის შეჩერდა აგრეთვე წითელი ლაშქრის ამოცანაზე. მოხსენებაზე გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

პარტ-კორესპონდენტათ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ლეჟავა.

ლეჟავა.

„ევკოზრუზი"-ს კომუჯრედი.

კომუჯრედი აერთიანებს 9 პარტიის წევრებს; კომუჯრედი სისტემატიურათ იკრიბება მთელი შემადგენლობით. დაახლოვებით ერთი თვის წინათ კომუჯრედის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი. ბიურომ დღიდგან არჩევისა შეუდგა ენერგიულ მუშაობას, რომლის თაოსნობით ამ ერთი თვის განმავლობაში მუშა-მოსამსახურების საერთო კრებაზე ჩატარებულ იქნა ხუთი აგიტ-კომპანია.

მოხსენების შემდეგ იმართებოდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიო მუშა-მოსამსახურეები. ამ უკანასკნელად ბიურომ გადაწყვიტა სახერხავ ქარხნის მუშებში დაიწყოს პოლიტიკური მეცადინეობა, რისთვისაც გამოყოფილ იქნა ამავე ქარხნის პოლიტკომი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყებს სისტემატიურ მეცადინეობას, მუშები დიდი სიხარულით შეხვდენ კომუჯრედის ამ ნაბიჯს და გადაწყვიტეს შაბათობით მეცადინეობა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კომუჯრედის მუშაობა ამ უკანასკნელათ, შედარებით უწინდელზე უფრო ნაყოფიერია.

ელ—რ.

ცხენი.

(გაგრძელება)

ცხენის დასადგომი ბინა ანუ თავლა ყოველთვის სუფთა და მშრალი ჰაერით, ბევრი სინათლით და სწორი, არა ოღრო-ჩოღრო, ცოტათი წინიდან უკან დაქვერდებული, თიხით მობეკნილი იატაკით უნდა ხასიათდებოდეს. თავლის თავ-თავის დროზე გამოუწმენდლობას, ნეხვის დაგროვებას და შარდის დაგუბებას, არავითარ შემთხვევაში თავლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამით ჰაერი არ მოიწამლოს, დაწოლის დროს ცხენი ნეხვში და შარდში არ ამოისვაროს და მით კანის, თვალების და ფლოქვების ავადმყოფობა არ გაუჩნდეს. ყოველ ღამეს ცხენს ქვეშ დასაგებათ ახალი, სუფთა და რბილი ჩალა უნდა ეძლეოდეს, რომ მთელი დღის ნამუშევარმა საყოფად დაისვენოს და მეორე დღეს გაორკეცებული ძალით, ჩვეულებისამებრ, ჩუმად და მოთმინებით ახალ მორიგ მუშაობას შეუდგეს.

გარდა ზევით ნათქვამისა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ცხენის წესრიგზე გამოკვებას. ცხენის წესრიგზე გამოკვება მდგომარეობს იმაში, რომ საკვები, რომელიც ცხენს ეძლევა, კარგი ღირსებისა იყოს. ეს საკვები უნდა ჩაეყაროს ცხენს სუფთა თოფრაში ან ბაგაში და ისე მიეცეს მას სამჯერ დღეში: მარცვლოვანი საკვები მხოლოდ წყლის დალევინების შემდეგ, ხოლო თივა და ჩალა-კი ნაწილ-ნაწილად მთელი დღე და ღამის განმავლობაში. მუშაობის წინ და მუშაობის შემდეგ მარცვლოვანი საკვების მიცემა შეიძლება მხოლოდ 2 საათის შემდეგ.

ცხენის გამოსაკვები შვრია უნდა იყოს კარგად გამხმარი, მძიმე, არა დაობებული და არავერი სხვა რამე მას არ უნდა ერიოს.

ქერი უნდა იყოს ასეთივე ღირსებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცხენს უნდა ეძლეოდეს იგი დაღერღილი და არა დაუღერღავი.

სიმინდი უნდა იყოს ისეთივე, როგორც შვრია და ქერი.

თივა უნდა იყოს მომწვანო ფერის, კეთილ სუნნელოვანი, არა დაობებული, უმტვერო და არ უნდა ერიოს მას ღერო—მსხვილი და შხამიანი ბალახები.

ნედლი ბალახი უნდა იყოს ახალი მოთიბული.

ხის თივა ანუ ხის ფოთლები უნდა იყოს ძალიან წვრილი წმინდ,

არა დაობებული და უფისო მუხის ფოთლები საკვებათ არ ვარგა.

ყველა დამატებითი საკვები, როგორიც არის, მაგალითად, ქატო, გამომცხვარი პური, წეწონი ანუ ჩენჩო ბზისუმზირისა, ქართოფილი, ჭარხალი და სხვა, უნდა იყოს ახალი, დაუმპალი და დაუფორებელი. ამ გვარი საკვებიდან დღეში შეიძლება მიეცეს ცხენს არა უმეტეს 4—6 გირვანქისა.

ჩალა უნდა იყოს ანგულისა ანუ გაზაფხულზე ნათესი, სუფთა, დაშუშვნილი და დარბილებული.

ცხენის სასმელი წყალი ისეთივე წმინდა უნდა იყოს, როგორც ადამიანისათვის, იგი არ უნდა იყოს ნადგომი და დამყაყებული, ტალახნარევი და ჟინვიანი.

მუშაობის გზათვეების შემდეგ ცხენის ოფლიანება ანუ წყალის დალევინება შეიძლება არა უადრეს 2 საათისა, ხოლო თუ ცხენი იძულებულია მუშაობა გააგრძელოს, იმ შემთხვევაში მისი ლაგამ გამოუღებლად ოფლიანება შესაძლებელია და ჯანმრთელობისათვისაც უვნებელი.

(გაგრძელება იქნება)

ვეტ-ექიმი **ფარეშვილი.**

ქიმიური მოეზადება ჯარში.

ქიმიური მოგერიების სამსახური ცხოვრებაში მართებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება გატარებული იყოს, როდესაც ჯარის ნაწილები სათანადოთ იქნებიან მომზადებულნი და მათ ზედმიწევნით ექნებათ შესწავლილი ქიმიური საქმე; როდესაც ჯარს შეეძლება ბრძოლის პირობა მდგომარეობაში გამოკვეთვა; როდესაც მას შეეძლება მოწინააღმდეგის მიერ ხახმარ ქიმიურ საშუალების გამოცნობა, მაშინვე საწინააღმდეგო საშუალების გამონახვა მათ ხელში ნაქონი დასაცავი საშუალებათა გამოყენება. ყველა ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქიმიური საქმის სწავლება სათანადო სიმაღლეზედ იქნება დაყენებული ნაწილებში.

სამხედრო-ქიმიურ საქმის თანამედროვე დიდ ღნიშვნელობის მიხედვით, სამხედრო ქიმიური გაწვრთნასწავლება ჯარის ყველა დარგებისათვის უფროსთა მთელ შემადგენლობის მუდმივ საჭირ-ბოროტო საკითხს უნდა შეადგენდეს.

ცალკე მეომარისა და მთელ ნაწილების სამხედრო მომზადება უფროსთა შემადგენლობის მზრუნველობას წარმოადგენს. უფროსთა შემადგენლობა მოვალეა გაწვრთნას მეომარნი არა მარტო ბრძოლისათვის ჩვეულებრივ საბრძოლო მომზადების დარგში, არამედ ამგვარივე ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო ქიმიურ საქმეს.

სამხედრო-ქიმიური სწავლება უნდა წარმოადგენდეს საბრძოლო ისეთ მომზადებას, რაიცა ყოველ ცალკე მეომრის ერთ-ერთი უსაჭიროეს და სავალდებულო საქმეთ უნდა იყოს.

ჩვეულებრივ, წითელ არმიელი იღებს რა ხელში რაიმე იარაღს, იგი სწავლობს მის ნაწილებს, მის მოწყობილობას. ნაწილების ურთიერთ მოქმედებას, ხმარებას და მხოლოდ მას შემდეგ როცა დასძლევს საქმის შემეცნებას, იგი შეიძლება ჩაითვალოს მეომრათ.

იგივე ითქმის პირბადეზედ, რომელსაც წითელი არმიელი მიიღებს რა ხელში, როგორც სავალდებულო საუთრელს, იგი მოვალეა შეისწავლოს მისი მოხმარება და სანამ მოიხმარებს, მან უნდა შეისწავლოს საბედრო-ქიმიური საქმე, იმ დრომდე კი არ შეიძლება ჩაითვალოს მომზადებულ მეომრად. პირბადეების მოხმარება წითელ არმიელს უნდა შეასწავლოს იმ მწყობრის უფროსმა, რომელიც უშუალოდ მასთან ახლო სდგას და რომელიც მას მაშხანა თოფს ასწავლის.

სამწყობრო დარგის უფროსთა შემადგენლობა პასუხს აგებს წითელ არმიელის სამხედრო ქიმიურ გაწვრთნაში ისევე, როგორც სხვა დანარჩენ საბრძოლო მომზადებაში.

გ. ბ—შვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ელექტრონი სოფლათ. სოფელ კახ ხში (ზაქათალის მაზრა) მოაწყვეს ელექტრონის სადგური, რომელიც დიდძალ ენერგიას მიაწვდის ახლო მახლო სოფლებს.

— **გვალვა აჭარისტანში.** აჭარისტანში დიდი გვალვებია, რის გამოც მოსავალს საშუალოზე ნაკლებს მოელიან. მიუხედავათ იმისა რომ ადგილობრივი ტროპიკული მცენარეები დიდ სიცხეს იტანენ ისინიც კი საგრძნობლად დაზარალდნენ.

— **ჩაქვის ჩაი.** ჩაქვის სახელმწიფო მამულში ჩაის პირველი მოკრეფა დამთავრდა, აღებულია სულ 4.000 ფუთი ჩაი.

— **სააღმშენებლო ამხანაგობა.** ტფილისში, ვაკეზე დაარსდა სამინაო სააღმშენებლო ამხანაგობა, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქის ბაღის გაშენებას, ამხანაგობაში ირიცხება 100 წევრი.

— **ხონის საქსოვი ქარხანა.** მაისიდან ამუშავდა ხონის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა. ქარხანაში მუშაობს 50 კაცი.

— **დახმარება ახალქალაქის მაზრას.** ა.ჯ. ცენტ. აღმასკომმა ახალქალაქის მაზრის ღარიბ მცხოვრებთა დასახმარებლათ გაიღო. 10.000. მ.

— **კბილის ექიმობა სოფლათ.** მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში ჯანმრთელობის კომისარიატი გზავნის სოფლებში კბილის საექიმო ჯგუფებს, მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

— **სამეცნიერო ყრილობა** 17 სექტემბრისთვის ქალ. სოხუმში მოწვეულია დასავლეთ კავკასიის და შავი ზღვის სანაპიროების შემსწავლელ სამეცნიერო საზოგადოების 1-ლი ყრილობა.

— **ხიდების შეკეთება ქუთაისში.** ვინაიდან ქუთაისის ყველა ხიდები საპიროებენ შეკეთებას, ამიტომ ქუთაისის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა სამაღასკომის წინაშე სათანადო თანხის გადაღების შესახებ.

— **სკოლების რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატის დადგენილებით შესდგა კომისია პროფტეხნიკურ სკოლების სარეორგანიზაციოთ. აღნიშნული სკოლები გადაკეთებულ იქნება საქარხნო სამრეწველო ტიპის სკოლებათ.

ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲔᲕᲔᲑᲘ.

— **გვამის პოვნა.** 17 ივნისს მირზოვ-თელეთის გზაზე იპოვნეს უცნობი კაცის გვამი, რომელიც მოკლული ყოფილა ხანჯლით. ძიება სწარმოებს.

— **წყალში გადავარდნა.** 17 ივნისს მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მოქ. გარნინსკი. მცურავებმა იგი გადაარჩინეს.

— **შეტაკება ბანდიტებთან.** 10 ივნისს ხუდადის მაზრაში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ მილიციას ბანდიტებთან. სროლის დროს მოკლულ იქნა ცნობილი ყაჩაღი საჯარა.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

ᲛᲣᲜᲘ.

მუნი კანის ავადმყოფობაა. მას იწვევს პატარა უხილავი ტკიპები, რომლებიც კანზე ან კანში იბუდებენ და ქავილს იწვევს. სხვა და სხვა საქონელს ის ტანის სხვა და სხვა ადგილებზე უჩნდება. ცხენს, მაგალითად, ხშირად უჩნდება თავზე, კისერზე, გულ-მკერდზე და კუდის ძირზე; ცხვარს: გავაზე და დალმაზე; საქონელს: კისერზე და მხარ-ბეჭზე, ძაღლს და კატას: ცხვირზე, შუბლზე, გულმკერდზე; ადამიანს ხელებზე, კალთებზე და ზოგჯერ მთელ ტანზედაც.

მუნი ძლიერ გადამდები სენია. ის ხშირათ გადადის ცხოველიდან ადამიანზე და ადამიანიდან ცხოველებზე. ამიტომ ამ სენის დროს დიდი სიფრთხილე და სისუფთავეა საჭირო.

მუნი ძლიერ აწუხებს, როგორც ცხოველებს ისე საქონელსაც ქვილით. ამის გამო ცხოველს ეკარგება მადა, ვერ ისვენებს და სუსტდება. თუ ავადმყოფობა საქონელს ტანზე ძლიერ მოედო შესაძლებელია ის კიდეც მოკვდეს.

ავადმყოფობა ძლიერ ადვილად ემართება, როგორც ადამიანს ისე ცხოველებსაც. ზოგჯერ საკმარისია უბრალო ხელის ჰიმორთმევა, რომ გადავიდეს ავადმყოფობა. ცხენს მუნი უეცველათ დაემართება, თუ მას მუნიან ცხენთან დავაბამთ, მუნიანი ცხენის ნაბანი წყალით დავბანთ ან მუნიანი ცხენის უნაგირით შევცვამთ.

ადამიანზე მუნი უეცტეს წილათ გადადის ძაღლიდან ან კატიდან, როცა მათ ხელს მოუსვამთ და მოვეფერებით. განსაკუთრებით ხშირათ ამ რიგათ სენი ემართება ბავშვებს, რომლებსაც უყვართ ძაღლებთან და კატებთან თამაში.

ᲛᲣᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲚᲝᲚᲐ.

მუნის წამლის მომზადება შინაც შეიძლება: აიღეთ ხუთი ღვინის ბოთლი კუპრი, ჩაასხით ქვაბში და ფრთხილათ ადღუდეთ ნელ ცეცხლზე. ორი წამოდუღების შემდეგ მიუმატეთ თითო გირვანქა წმინდათ დაფქვილი შაბიამანი და მძაღი (რკინის შაბიამანი) ხის კოვზის რევით რამოდენიმეჯერ წამოადუღებთ. გამომდგმით ქვაბს და როცა ნელ—ნელა გახდება უკვე ვარგა წასასმელათ. ჯოხზე შემოახვევთ სუფთა ჩვარს და ამით წაუსვამთ საქონელს იმ ადგილზე სადაც ქავილი აქვს. მაგრამ წამლის წასმის ერთის დღის წინ საქონელს დაავადებული ადგილები უნდა მომანოთ ცხელი ნაცარ ტუტით, რომ მოშორდეს ბანლები, წვრა და ჭუჭყი. როგორც წამალი ისე ნაცარ ტუტი იმდენათ თბილი უნდა იყოს რომ შიგ ჩაუფიქრი თითი არ დაგეწვათ. მხოლოთ ამ შემოხვევაში რგებენ ისინი ავათმყოფს. წამალი წამალი ავათმყოფის ტანზე უნდა დავტოვოთ 5—6 დღე, ამის შემდეგ ისევ მოვბანთ ნაცარ ტუტით. თუ ერთჯერ წასმამ ავათმყოფობას არ უშველა მაშინ მეორეჯერ წაუსვამთ.

ვ.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ცთომილი (პლანეტა) მარსი

ა/წ 22 აგვისტოს პლანეტა მარსი, (მარსი ვარსკვლავია, რომელიც დედამიწასთან დაახლოებულია) რომელიც წაიგავს დედამიწას, იმდენად დაუახლოვდება დედამიწას, რომ შესაძლებელი იქნება მასზე სწორი დაკვირვებანი. ამის გამო ასტრონომები (ასტრონომი არის მეცნიერი, რომელიც იკვლევს მნათობთა ცხოვრებას, როგორიც არიან: ვარსკვლავნი, მზე, მთვარე და სხვა). დიდის ამბით ემზადებიან ამ დღისათვის, რომ შესაძლებელი გახადონ პლანეტასთან კავშირის გაბმა.

სხვა და სხვა დაკვირვებების გამო, ასტრონომების ნაწილს შესაძლებლად მიაჩნია მარსზე მოსახლეობის არსებობა (შესაძლებელია ჩვენისთანა ადამიანები ცხოვრობდნენ) და ძათთვის ისიც ეშვე გარეშეა, რომ მათის მოსახლეობას დიდი ხანია სურვილი აქვს ჩვენთან პირდაპირი კავშირის გაბმისა სხვა და სხვა სინათლის ჩვენებით იქიდან (სიგნალი).

საერთოდ ასტრონომებისათვის ხელსაყრელი დრო დგება, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ დაკვირვებისა და ისიც ამას უსათუოდ გამოიყენებენ თავიანთ მეცნიერულ გამოკვლევათა ფართების გასასმელად.

26 წლის წინეთ, (1896 წ.) აგრეთვე იყო ისეთი საყურადღებო მოვლენები მარსზე, რომ ამის შესახებ მოხსენება გააკეთა ცნობილმა ინგლისის ასტრახომმა ფრენსის გალტონმა ლონდონის სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელიც ბატკაცებდა, რომ შესაძლებელია დედამიწა და მარსის მოთის კავშირის გაბმა სინათლის ნიშნის ჩვენების საშუალებით

ერთ ერთი ინგლისის გაზეთში მან მოათავსა წერილი ამ თემაზე, რომელშიაც იუწყებოდა, რომ დაკვირვების დროს მათ ნახეს, თუ როგორ სინათლის ნიშნებს უშვებდენ მარსიდან.

„ჩვენს აბსორვატერიებში ამან დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია.—სწერდა მაშინ გალტონი,—რადგან მარსიდან ნაჩვენებ სინათლე ერთი და იმავე ადგილიდან იყო და ისეთი ძლიერი, რომ ამას ისინი იქიდან განძახა სჩადიოდენ, რომ ჩვენთვის ეცნობებინათ თავიანთ არსებობა. და ეს სინათლის ნიშნები სისტემატიურად ყოველ დღე დიდებოდა ერთი და იმავე დანიშნულ მასშტაბში.

ერთმა ყველაზე უდიდესმა ევროპის აბსერვატორიამ გააკეთა ისეთი სარეგისტრაციო აპარატი, რომელიც სწერდა მარსიდან მოკემულ ნიშნებს. პირველი ნიშანი გრძელდებოდა $1^1/_4$ წამს, მეორე—$2^1/_2$ წამს და მესამე 5 წამს. (პირველი ნიშნავდა ძმაზე, მე-2-რე მოკლე ხაზს და მე-3-მე გრძელ ხაზს) გალტონს აქედან გამოყავს ის დასკვნა, რომ მარსის მოსახლეობას სურდა ჩვენთან ლაპარაკი.

სამწუხაროდ მას შემდეგ (ე. ი. 28 წლის შემდეგ) ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს მარსიდან სინათლის ნიშნების შესახებ.

მაგრამ ამის მიზეზი ჩვენ თვითონ ვართ, რადგან მათ არავითარი ასუხი არ გავეცით. მაგრამ ეხლა მდგომარეობა გამოიცვალა და ჩვენ თვითონ ვცდილობთ მარსის მოსახლეობას დამოველაპარაკოთ. უსათუოდ, როგორც ჩვენ ვემზადებით აგვისტოსთვის მათთან მოსალაპარაკებლად, ისე ისინიც ემზადებიდენ იქნება. ვინ იცის, შეიძლება ჩვენმა მოლაპარაკებამ რიმე დადებითი შედეგები მოგვკენ და დაუახლოვდეთ ცის სივრცეში მცხოვრებ მეზობლებს.

ᲕᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

არსდება ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბთან დრამატიული, მომღერალთა და პოლიტ წრეები, რომელთაც უხელმძღვანელებს მცოდნე პირები. მოუწოდებთ წითელ არმიელებს ჩაებან ხსენებულ წრეებში სამუშაოთ.

ჩაწერა შეიძლება კლუბში, წრეთა ორგანიზატორთან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ **მათ აქვთ უფლება უფასოთ** **შესვლისა.**

ნ. დ. ს. კ. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.